თამარ მახარაძე



გაფუჩხა

კლასი IV

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ნანული გიგოლაშვილი**

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

იყო ერთი მხიარული გოგონა, სახელად დადუნა. დადუნას ბევრი სათამაშო ჰქონდა, მაგრამ ერთი წითელი ბუშტი ყველაზე მეტად უყვარდა. ეს ბუშტი ძმამ აჩუქა დაბადების დღეზე. უცნაური ბუშტი იყო – პირიც ჰქონდა და თვალებიც. მართალია, მიხატული, მაგრამ მერე რა? ამ მიხატული თვალებითაც მშვენივრად ხედავდა და მიხატული პირითაც მშვენივრად ახერხებდა ლაპარაკს.

გოგონამ ბუშტს დუდი დაარქვა და გვერდიდან არ იშორებდა. სულ ერთად იყვნენ – თამაშობდნენ ან მხიარულ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. დაუსკუპდებოდა დუდი დადუნას ხელისგულზე, გოგონა კი ქვევიდან აჰკრავდა პატარა ხელს. ბუშტი ჯერ ნარნარად აფრინდებოდა ჰაერში, მერე ისევ ნარნარად დაბლა დაეშვებოდა. ხანდახან ჭაღზეც ჩამოეკიდებოდა და აქეთ-იქით გაქანავდებოდა, ხან ფარდის უკან შეფრინდებოდა და გოგონას დამალობანას ეთამაშებოდა. დაძინებისას დადუნას ბალიშზე დასკუპდებოდა, მიხატულ თვალებს დახუჭავდა და ჩათვლემდა.

ერთხელ, დილით, დუდის დადუნაზე ადრე გაელვიძა და გარეთ დაიწყო ყურება. ნიავი ქროდა და ხეებს აშრიალებდა. ცოტათი ჟინჟლავდა კიდეც. დუდის ძალიან მოუნდა გარეთ გაფრენა და ნიავთან თამაში. „დადუნა ასეთ ამინდში გარეთ არ გამიშვებს. აჯობებს გავეპარო“, – გაიფიქრა დუდიმ და ფანჯრის რაფაზე ჩამომსხდარ ბელურებს სთხოვა:

– ბელურებო, ბელურებო, მომწყინდა სახლში ყოფნა. გთხოვთ, ფრთები ნაზად დააქნიეთ და ზეცაში ამაფრინეთ!

ბელურებმა ჩაიჟღურტულეს:

– გარეთ ფრენა დადუნას ხელისგულზე თამაში ნუ გგონია! ნახე, რა ამინდია! ასეთ დროს გარეთ რა უნდა აკეთო?

წითელი ბუშტი ახლა დადუნას თეთრ ფისუნიას შეეხვეწა:

– ფისუნია, შენ ხომ კეთილი ხარ! მოდი, შენი ფუმფულა კუდით მომიღიტინე და ცაში ამაფრინე!

ფისუნიამ ყურიც არ ათხოვა დუდის:

– გიჯობს შინ დაეტიო! გაფრენა ძალიან კარგია, მაგრამ საშიში!

ამ დროს ნიავმა სულ ახლოს ჩაიქროლა ღია ფანჯარასთან. დუდის სული შეუბერა და... დუდისაც ეს უნდოდა! გაფრინდა დუდი ნიავთან ერთად!

ჯერ ნელ-ნელა მიფრინავდა, სარეცხ თოკებზე ხტუნვა-ხტუნვით გადადიოდა და ღია ფანჯრებში იჭყიტებოდა. მერე თანდათან გაძლიერდა ნიავი, ქარად იქცა და შორს გაიტაცა დუდი. ისე ჩქარა მიაქროლებდა, თავბრუ დაახვია. ვერაფრის დანახვას ვეღარ ასწრებდა ბუშტი. ხან კედელს მიენარცხებოდა, ხან მიწას დაასკდებოდა. რამდენჯერ ბეწვზე გადაურჩა ნაძვის წვრილ-წვრილ ნემსებს. ასე გულგახეთქილმა იფრინა კარგა ხანს, კიდევ კარგი, ამდენი გიჟობით ქარი მალე დაიღალა, ჯერ ნიავად იქცა, მერე – სიოდ. დაღლილი ბუშტი სიოს ქროლვას მინებდა და ფარფატ-ფარფატით ერთ ღია ფანჯარაში შეფრინდა.



დუდის ოთახში შეფრენა და ფანჯრის დაკეტვა ერთი იყო. შეშინებული დუდი სავარძელზე დაფრინდა.

– ოჰ, ოჰ, ოჰ! ეს რა კარგი სტუმარი მოფრენილა ჩემთან! – სახარულით შესძახა ვიღაცამ. მერე ფარდის უკნიდან აწოწილი კაცი გამოვიდა. კაცს უზარმაზარი წითელი ცხვირი და აბურძგნული ცეცხლისფერი თმა ჰქონდა, ტანზე ჭრელაჭრულა ტანსაცმელი, ფეხზე კი წვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა. იმხელა პირი ჰქონდა, მიხატული გეგონებოდათ.

დუდის ნირი წაუხდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ შეეშინდა ამ სასაცილო კაცის.

– ვიცოდი, რომ დღეს გამიმართლებდა! ტყუილად კი არ დავტოვე ფანჯარა ღია! ასეთი ლამაზი ბუშტი არასოდეს მინახავს! ნახეთ ერთი, თვალებიცა აქვს და პირიც! იმედია, ლაპარაკიც გეცოდინება, ხომ ასეა, პატარავ? – გაუჩერებლად ლაქლაქებდა კაცი.

შეშინებული დუდი ხმას ვერ იღებდა. კაცი კი განაგრძობდა:



– ჩემო ლამაზო, შენც გაგიმართლა, რომ ძია ოხროხინესთან მოხვდი! ისე გაგწვრთნი, ხალხი პირს დააღებს გაოცებისგან. ჩიტივით ფრენას გასწავლი და ნემსის წვერზე ცეკვას!

დუდის ნემსის ხსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა. გაოცებით უყურებდა ამ უცნაურ კაცს და ფიქრობდა:

„ვინ არის ეს კაცი, რა უნდა ჩემგან?!“

დუდის საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ბებერ, ხელმოცარულ ჯამბაზ ოხროხინესთან მოხვდა. დიდი ხანი იყო, რაც ოხროხინეს ცირკში ებუზღუნებოდნენ, ხალხს ვერ აცინებ, დროა აქედან წახვიდეო. არადა, როგორ უყვარდა ცირკი! როგორ ოცნებობდა, ისეთი რამ გაეკეთებინა, მაყურებლები სიცილით დახოცილიყვნენ. მაგრამ დრო გადიოდა, ხალხს კი არა და არ ეცინებოდა ოხროხინეს ოინბაზობებზე. ჰოდა ერთხელ ასეთი უცნაური რამ მოიფიქრა: „მოდი, ჩიტებს და ბუშტებს გავწვრთნი. ჩიტებს ბუშტებივით ფარფატს ვასწავლი, ბუშტებს კი – ჩიტებივით ფრენას, თან ნემსის წვერზე ცეკვას!“.

ბევრი აღარ უფიქრია. დაიწყო ოთახში ჩიტების შემოტყუება და ქარში მოფარფატე ბუშტების დაჭერა. მერე მათ „გაწვრთნას“ შეუდგა. ჩიტები უნდა აფრენილიყვნენ ზევით, ბევრი, ბევრი ჰაერი უნდა ჩაესუნთქათ, რომ ბუშტივით გაბერილიყვნენ. მერე ფრთები უნდა დაეკეცათ და ბუშტივით ეფარფატათ ჰაერში. ამ დავალების პირველ ნაწილს ჩიტები ადვილად აასრულებდნენ. ზევით აფრინდებოდნენ და იმდენ ჰაერს ჰაერს ჩაისუნთქავდნენ, მართლა ბუშტივით იბერებოდნენ. მაგრამ როცა საქმე უფრთებოდ ფარფტაზე მიდგებოდა, პანტაპუნტით ცვიოდნენ დაბლა.

– რა უნიჭოები ხართ, ვერაფერი გასწავლეთ! ვერაფერი შეგასმინეთ! – ყვიროდა გამწარებული ოხროხინე.

მერე „უნიჭო“ ჩიტებს უზარმაზარ კარადაში ჩაკეტავდა და ახლა ბუშტების „წვრთნას“ იწყებდა. ბუშტებს ევალებოდათ, ოხროხინეს მიერ მიმაგრებული ქაღალდის ფრთები ექნიათ და ჰაერში ჩიტებივით ეფრინათ. მაგრამ ბუშტე-

ბიც „უნიჭოები“ აღმოჩნდნენ. თუმცა ოხროხინე იმედს არ კარგავდა... აი, სწორედ ამ დროს შემოფრინდა მის ოთახში დუდი.

– ნამდვილად კეთილმა ჯადოქარმა გამომიგზავნა შენი თავი! – ამბობდა აღტაცებული ოხროხინე. – დრო არ უნდა დავკარგოთ, ახლავე დავიწყოთ ვარჯიში! აი, ნახავ, ყველას გავაოცებთ, ისეთ ფრენას და ცეკვას გასწავლი!

ოხროხინემ დუდის სწრაფად მიამაგრა ქარალდის ჭრელი ფრთები და აფრენა უბრძანა. შეშინებულმა დუდიმ მართლა მოინდომა ჰაერში აფრენა, მაგრამ ქარალდის ფრთებმა ვერ უშველა. მაშინ ოხროხინემ ხელი აჰკრა. როცა დუდი ჰაერში აფარფატდა, გახარებულმა ოხროხინემ შესძახა:

– აი, თითქმის დაფრინავ. ცოტა კიდევ მოინდომე, ფრთები იქნიე, რომ ძირს არ ჩამოვარდე. მერე თანდათან მიეჩვევი!

ოხროხინე რომ არ გაებრაზებინა, დუდიმ ძალიან მოინდომა ჩიტივით ფრენა, მაგრამ ფრთები ვერ შველოდა. პირიქით – უფრო ამძიმებდა

და დაბლა ექაჩებოდა. ბოლოს სავარძელზე დაეცა. განრისხებული ოხროხინე ცეცხლისფერ თმას იგლეჯდა.

– ეს რა უბედურებაა, ერთი ნიჭიერი მოსწავლეც არ მეღირსა! ფრთები ხომ მოგაწებე, რა უნდა ფრენას? იქნიე ფრთები და მორჩა! რატომ არ გინდა, რომ გამახარო? რატომ არ გინდა, რომ ხალხი გავაოცო და ტაშით დამაჯილდოვონ? ჰოდა, რადგან ჯიბრში მიდგახართ, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ! – გაბოროტებით წამოიძახა ოხროხინემ, მერე დუდის ხელი დაავლო და იმასაც უზარმაზარ კარადაში ამოაყოფინა თავი.

კარადაში საშინლად ბნელოდა, მაგრამ კარის ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის შუქზე დუდიმ იქ უამრავი ჩიტი და ბუშტი დაინახა. საბრალოები კუთხეში მიყუჟულიყვნენ და ბუტბუტებდნენ:

– რა უნდა ამ საძაგელ კაცს? თავი დაგვანებოს. სად გაგონილა, ჩიტი ბუშტივით დაფარფატებდეს და ბუშტი ჩიტივით დაფრინავდეს?!

დუდი საგონებელში ჩავარდა. კიდევ ერთხელ ინანა სახლიდან დაუკითხავად წამოსვლა, მაგრამ სინანულით საქმეს რაღას უშველიდა? იმის იმედიღა ჰქონდა, დადუნა მიპოვის და მიშველისო.

* * *

დადუნამ რომ გაიღვიძა და დუდი ოთახში არ დახვდა, ძალიან შეწუხდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერსად იპოვა.

– მიავ, მიავ, ტყუილად ეძებ, ნიავს გაჰყვა სადღაც, მე არ დამიჯერა! – ჩაიკრუტუნა თეთრმა ფისომ.

დადუნა ეზოში ჩავიდა. ყველა სადარბაზოში შეირბინა, ყველა ფანჯარაში შეიჭყიტა, მაგრამ დუდის კვალსაც ვერ მიაგნო. ატირებას აღარაფერი უკლდა, რომ ნიავმა ჩასჩურჩულა:

– შენი დუდი მოხუცმა ჯამბაზმა ოხროხინემ დაატყვევა. აი, იმან, ჩვენი ქუჩის ბოლოში რომ ცხოვრობს, მწვანე სახლში, ბოლო სართულზე!

დადუნამ მეგობრები შეკრიბა და მაშინვე მწვანე სახლისკენ გაიქცა. ბავშვებმა მეათე სარ-





თულზე აირბინეს და ზარი დარეკეს. კარი ოხროხინემ გააღო (აბა, სხვა ვინ გააღებდა? მარტო ცხოვრობდა.).

– ძია ოხროხინე, გავიგე, რომ ჩემი წითელი ბუშტი თქვენთან შემოფრენილა. თუ შეიძლება, დამიბრუნეთ, ჩემმა ძამიკომ მაჩუქა და ძალიან მიყვარს! – სთხოვა დადუნამ ოხროხინეს

– რის ბუშტი, რა ბუშტი? ბავშვი ხომ არა ვარ, ბუშტით ვითამაშო! წადით, აქედან დამეკარგეთ! – დაიღრიალა ოხროხინემ და ბავშვებს ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

მეტი რა გზა იყო? ბავშვები უკან გამობრუნდნენ, მაგრამ ასე ადვილად არ დათმობდნენ დუდის. ცოტა ხანს ეზოში იდგნენ და ჩურჩულებდნენ. მერე ისევ ოხროხინეს მიადგნენ.

– ძია ოხროხინე. გაიგეთ, რომ ზოოპარკიდან წუხელ დიდი გველი გამოპარულა? ყველგან დაეძებენ. გვთხოვეს, ჩვენს უბანშიც დავძებნოთ და ყველგან შევიხედოთ. თუ გინდათ, თქვენთანაც მოვძებნით!

ოხროხინეს გველების ისე ეშინოდა, თავისი გადამალული „მოსწავლეები“ სულ არ გახსენებია და ბავშვები ოთახში შეუშვა. ბავშვებმა მალე მიაგნეს საეჭვო კარადას, გააღეს და... ჰოი საოცრებავ!.. გამოცვივდნენ ბუშტები და ჩიტები... ჩიტები და ბუშტები! სულ აივსო იქაურობა! დუდიმ დადუნა რომ დაინახა, მაშინვე მისკენ გაფრინდა (ჰო, ჩიტივით გაფრინდა, არ ვტყუი!), დადუნას პირდაპირ გაშლილ ხელებში ჩაუვარდა და გაიფიქრა:

– ვაი, დავფრინავ! ჩიტივით დავფრინავ! საოცარია! აბა წელან, ფრთები რომ მეკეთა, რატომ ვერ დავფრინავდი?!

ოხროხინემ კარადიდან გამოფრენილი ჩიტები და ბუშტები დაინახა. მიხვდა, ყველაფერი გამოაშკარავდა. სახეზე ხელები აიფარა და ტირილი დაიწყო:

– რა მეშველება ახლა? ხალხის ტაშს და ოვაციებს ველარ ველირსები! სამსახურიდანაც გამომაგდებენ. ჩემს ხუმრობებზე ხომ არავის ეცინება!

დადუნა ძალიან გაბრაზებული იყო ოხროხინეზე, მაგრამ მაინც შეეცოდა ხელმოცარული, მაყურებლის ტაშს დანატრებული ჯამბაზი და უთხრა:

– ძია ოხროხინე, ბავშვებს ძალიან უყვართ ჯამბაზები. წამობრძანდით, ჩვენს ეზოში გავმართოთ წარმოდგენა. ვიცი, რომ ბავშვებს ძალიან მოეწონებათ!

ოხროხინემ ტირილი შეწყვიტა და გაუბედავად იკითხა:

– მერე ეს ჩიტები და ბუშტები მაპატიებენ, რომ გავაწვალე?

– გაპატიებთ, გაპატიებთ! – წამოიძახეს ჩიტებმა და ბუშტებმა. – თან დაგეხმარებით კიდეც, რომ ბავშვები გაამხიარულო!

მალე დადუნას ეზო ჩიტებითა და ბუშტებით აივსო. ყველა ბავშვი (და არა მარტო ბავშვი) ეზოში ჩამოსულიყო. მოხუცი ჯამბაზი ჯამბაზობდა. მას ჩიტები და ბუშტები ეხმარებოდნენ. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ბუშტები ჩიტებივით დაფრინავდნენ და შადრევანზე ცეკვავდ-

ნენ, ხოლო ჩიტები ბუშტებივით დაფარფატებდ-
ნენ ცაში ისე, რომ ფრთებს არც კი ატოკებდნენ.
ისე ძალიან უნდოდათ მოხუცი ჯამბაზის დახმა-
რება, თვითონაც ვერ მიხვდნენ, ეს როგორ გა-
მოუვიდათ. ყველა იცინოდა და მხიარულობდა.
მოხუცი ჯამბაზი ბედნიერი იყო. ბედნიერი იყო
დადუნაც თავის წითელ ბუშტთან ერთად და აღ-
ტაცებით ცეკვავდა და ცეკვავდა.